



საქართველოს

საბჭოთა

№ 6

სოციალისტური

რესპუბლიკის

1 9 9 0

უ ზ ე ნ ე ა ს ი ს ა გ ა რ ს

უ ც ყ ი მ ი გ ი გ ი გ ი

საქართველოს სსრ კულტურის საგარეო გამოცემა

საქართველოს საგარეო სამსახურის რესისტრის უზენაესი საბჭოს უნიკალური



№ 6 (599)

ივნისი

1990 წლი

შ ი ნ ა პ რ ს ი

გაცემის პირველი

137. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „საქართველოს სსრ კანონის პროექტის თაობაზე.
138. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „მოქალაქეთა ჯგუფის მრავალწლიანი საჩივრების შემსწავლელი კომისიის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1989 წლის 18 ნოემბრის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
139. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება № 123 ბოლის საბარეკო ოლქში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს დეპუტატის არჩევნების დანიშნვის შესახებ.
140. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქ. თბილისის ზოგიერთი რაიონისათვის სახელის გადაქმენის შესახებ.
141. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რაიონისა და ქალაქის სახელშიდების აღდგენის, ზოგიერთი სასოფლო საბჭოსა და სოფლისათვის სახელის გადარქმევის შესახებ.
142. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მოწვევის შესახებ.
143. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 47-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ.



144. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თ. შ. კარტლებულების საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოაღილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.
145. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი დამოუკდებლობის აღდგენის სამართლებრივი მექანიზმის შემუშავებელი კომისიის შესახებ.
146. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ნ. ა. ყურაშვილის საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრად დანიშნენის შესახებ.
147. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება უ. კ. შარტავის საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნენის შესახებ.

საქართველოს სსრ XI მოწვევის უზენაესი საბჭოს XV რიგგარეშე ხესიის
მიერ მიღებული კანონი და დადგენილებები

148. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცის გარანტიების შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებაში დამატებების შეტანის თაობაზე.
149. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აღდგენის სამართლებრივი მექანიზმის შექმნის შესახებ.
150. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ მოქალაქეობის კანონის პროექტის თაობაზე.
151. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ კანონის ძირითადი კონცეფციისა და საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დანიშნენის თაობაზე.
152. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთონარებების, მათ შორის პოლიტიკური პარტიების, მასობრივი მოძრაობების, პროფესიული და შემოქმედებითი კავშირების, ნებაყოფლობითი საზოგადოებების, ასოციაციების შესახებ კანონის პროექტის თაობაზე.
153. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტის თაობაზე.
154. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება შრომითი (ალტერნატიული) სამსახურის შესახებ.
155. საქართველოს სსრ კანონი შრომითი (ალტერნატიული) სამსახურის შესახებ.
156. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77-ე მუხლის საფუძვლებზე სსრ კავშირის რიგი კანონების შეფასების შესახებ.
157. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი მექანიზმის შემშვევებელი კომისიის შექმნის შესახებ.
158. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება რესპუბლიკის ტერიტორიაზე „დეპრეზული“ დროის გაუქმების შესახებ.

შპცოცილიბა მიორი

159. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ვ. ს. აღვაძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
160. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ნ. ყ. ხურციძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
161. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს ხალ-ხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიველით დაჯილდოების შესახებ.
162. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს ხალ-ხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მუშაქთათვის საქართვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

შპცოცილიბა მისამი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხდომები.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

137 „საქართველოს სსრ მკონიანი დამოუკიდებლობის დაუსახლებელის საფუ-
ძლების უზრუნველყოფის უზრუნველყოფის საქართველოს სსრ კანონის პროექტის თაო-
ბაზე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ შემოტანილი „საქართვე-
ლოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძლებების შესახებ“ საქართ-
ველოს სსრ კანონის პროექტი გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ გაზეთებში სახალ-
ხო განხილვისათვის. (გამოქვეყნებულია რესპუბლიკურ პრესაში).
2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განაზოგადოს ზემოაღნიშნული
კანონის პროექტის სახალხო განხილვისას შემოსული წინადადებები და შე-
ნიშვნები და კანონპროექტში შესატანი ცვლილებების შესახებ წინადადებები
წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს 1990 წლის 15 ივნისამდე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გუმბარიძი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. პავარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 4 ივნისი.

№ 2665—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

138 „მოქალაქეთა კოუფის მრავალფლიანი საჩივრების შემსრულებლი კომისიის
ლელი კომიტეტის უზრუნველყოფის უზრუნველყოფის უზრუნველყოფის სსრ უზენაე-
სი საბჭოს 1989 წლის 18 ნოემბრის დადგენილებაზი ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოქალაქეთა კოუფის მრავალფლიანი საჩივრების შემსრულებლი კომისიის
შემადგენლობაში დამატებით შეყვანილ იქნენ:

შალვა ალექსანდრეს ძე გვათუა — ქ. თბილისის კიროვის რაიონის იური-
დიული კონსულტაციის აღვოკატი.

გარლო სიმონის ძე ჭინჭიძაშვილი — ქ. თბილისის კიროვის რაიონის იუ-
რიდიული კონსულტაციის აღვოკატი.

მირიან მაისის ძე სოხაშვილი — მცხეთის რაიონის იურიდიული კონსულ-
ტაციის აღვოკატი.



კარლო კონსტანტინეს ქ. მებადური — მცხეთის რაიონის იურიდიული კონსულტაციის აღვოკატი.

ვახტანგ სევერიანის ქ. ველიაშვილი — ქ. თბილისის კალინინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის აღვოკატი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გუგუარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. პაპაშვილი.

თბილისი, 1990 წლის 4 ივნისი.

№ 2666—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

139 № 128 ბოლის საარჩევო ოლქის სამხრეთ ოსთის ავტონო-
მოური ოლქის სახალხო დეპუტატთა საგაოს დეპუტატის არ-
ჩევების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაკმაყოფილდეს სამხრეთ ოსთის ავტონომიური ოლქის სახალხო დე-
პუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა № 128 ბოლის საარჩევ-
ნო ოლქში საოლქო საბჭოს დეპუტატის არჩევნების 1990 წლის 24 ივნისს და-
ნიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გუგუარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. პაპაშვილი.

თბილისი, 1990 წლის 7 ივნისი.

№ 2669—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საგაოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

140 ქ. თბილისის ზოგიერთი რაიონისათვის სახელის გადარქმების
შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. მხარი დაეჭიროს საზოგადოებრივ აზრს, სტუდენტი ახალგაზრდობის
და მშრომელთა წინადაღებებს ქ. თბილისის კალინინის, კიროვის, ორგონიკიძის,
26 კომისრიის, პირველი მაისისა და საქარხნო რაიონებისათვის სახელის გა-
დარქმების შესახებ, რომელიც მოიწონეს შესაბამისი რაიონული საბჭოების
სესიებშა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომშა.

2. ეწოდოს კალინინის რაიონს — მთაწმინდის რაიონი, კიროვის რაიონს — ქრწანისის რაიონი, ორჯონიშვილის რაიონს — ვაკის რაიონი, 26 ქომისრის რაიონს — ისნის რაიონი, პირველი მაისის რაიონს — ღიდუბის რაიონი და საქართველოს რაიონს — სამგორის რაიონი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გუმბარიძის;

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. პავალაცხლია.

თბილისი, 1990 წლის 8 ივნისი.

№ 2671—XI

სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

141 რაიონისა და ქალაქის სახელმოწევის აღდგენის, ზოგიერთი სასოფლო საზოგადო და სოფლისათვის სახელის გადარჩევის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. მხარი დაქვირდოს საზოგადოებრივ აზრს და მშრომელთა წინადადებებს ბალდათის რაიონისა და ქ. ბალდათის სახელწოდების აღდგენის შესახებ, რომელიც მოიწონა მაიაკოვსკის სახალხო დებუტატთა რაიონული საბჭოს სესიამ.

2. გადაერქვას სახელი ზოგიერთ სასოფლო საბჭოს და სოფელს და ეწოდოს:

ვანის რაიონის კიროვის სასოფლო საბჭოს და სოფელ კიროვს — სალომინაოს სასოფლო საბჭო და სოფელი სალომინაო;

კაბაის რაიონის ზემო ხანდაკის სასოფლო საბჭოს სოფელ ფაშიანს — სოფელი კალოუბანი, ყარაღაჯის სასოფლო საბჭოს და მმ საბჭოში შემავალ სოფელ ყარაღაჯს — თელიანის სასოფლო საბჭო და სოფელი თელიანი;

ლაგოდეხის რაიონის ორჯონიშვილის სასოფლო საბჭოს და სოფელ ორჯონიშვილებს — გიორგეთის სასოფლო საბჭო და სოფელი გიორგეთი; ყარსუბნის სასოფლო საბჭოს და სოფელ ყარსუბანს — კართუბნის სასოფლო საბჭოს და სოფელ კართუბნის — მაწიმის სასოფლო საბჭო და სოფელი მაწიმი;

მცხეთის რაიონის მისაქციელის სასოფლო საბჭოს სოფელ ნაოზას — სოფელი ნავაზი;

ონის რაიონის შეუბნის სასოფლო საბჭოს სოფელ ანკარას — სოფელი ქრისტესი;

ხარაგაულის რაიონის ბორითის სასოფლო საბჭოს სოფელ ციხისძირს — სოფელი ამაშუკეთი;

ხობის რაიონის ალიონის სასოფლო საბჭოს და სოფელ ალიონს — ზემო ქვალონის სასოფლო საბჭო და სოფელი ზემო ქვალონი;
ხონის რაიონის ნახანულევის სასოფლო საბჭოს სოფელ წითელვარსკვ-
ლავს — სოფელი საწულუკიძო.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გურგარიძე,
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი გ. პვარაცხვლია.

თბილისი, 1990 წლის 8 ივნისი.

№ 2672—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

142 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მოწვევის უსახელ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე მეთხუთმეტე სესია 1990
წლის 20 ივნისს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გურგარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი გ. პვარაცხვლია.

თბილისი, 1990 წლის 10 ივნისი.

№ 2674—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

143 საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 47-ე მუხლის დამატე- ბის უსახელი უსახელი

„საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედის“ დაწესების
შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 25
აპრილის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს
პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ 1983 წლის 4 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართ-
ველოს სსრ საბინაო კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყე-
ბები, 1983 წ., № 6, მუხ. 199; 1989 წ., № 7, მუხ. 127) 47-ე მუხლს დაემატოს
შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5) დედებს, რომელთაც მიენიჭათ „ქართველის დედის“ საპატიო წოდება“. ამასთან დაკავშირებით მე-5 პუნქტი ჩაითვალოს მე-6 პუნქტად.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გუგარიძის.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 14 ივნისი.

№ 2677—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

144 თ. შ. პაგულოვას საქართველოს სსრ უზენაესი საგაოც პრეზიდიუმის თავმჯდომარეს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

განთავისუფლდეს თამარ შალვას ასული კაბულოვა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გუგარიძი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 18 ივნისი.

№ 2680—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

145 საქართველოს სახელმწიფო მინისტრის დამოუკიდებლობის აღ-
დგენის სამართლებრივი მინისტრის უფლების უმაღლებელობის აღ-
დგენის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. „საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი მექანიზმის შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ მეთერთმე-
ტე მოწვევის რიგგარეშე მეთხუთმეტე სესიის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებ-
რივი მექანიზმის შემუშავება საერთაშორისო სამართლის ნორმათა საფუ-
ძველზე დაევალოს სესიის მიერ შექმნილ სარედაქციო კომისიას.

2. კომისიის მუშაობაში მონაწილეობისათვის მიზიდულ იქნენ დაინტე-
რესებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების, მოძრაობებისა და
პარტიების წარმომადგენლები.



3. შეიქმნას კომისიის შესაბამისი სამუშაო ჯგუფები სპეციალურების
მონაწილეობით.

4. დაევალოს კომისიის ხელმძღვანელობას და რესპუბლიკის მთავრობას
შეიმუშაონ სათანადო წინადადებები საკავშირო ორგანოებში წარსადგენად.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გუბარიძის
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 22 ივნისი.

№ 2686—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

146 ნ. პ. ურაზგილის საქართველოს სსრ სახელმწიფო არგიტრაჟის
სახელმწიფო არგიტრაჟის უსახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ნატალია ავთანდილის ასული ყურაშვილი საქართველოს სსრ
სახელმწიფო არგიტრაჟის სახელმწიფო არგიტრად.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გუბარიძის.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 27 ივნისი.

№ 2688—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

147 შ. პ. უართავას საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კო-
მიტების თავმჯდომარე დანიშნულის უსახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ეიული კალისტრატეს ქ. შარტავა საქართველოს სსრ სახალხო
კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარელ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გუბარიძის.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 28 ივნისი.

№ 2693—XI

საქართველოს სსრ XI მოწვევის უზენაესი საბჭოს XV რიგგარეშე
სეიდის მიერ მიღებული კანონი და დადგენილებები

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

148 საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტის გარენ-
ტივიზის უზენაეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილების მარტის დადგენილებაზი დამატებითი უზენაესი საბჭოს თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილების ბაში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990 წ. № 3, მუხ. 52) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. დადგენილებას შეათე აბზაცის შემდეგ დაემატოს შემდეგი აბზაცი:

„აღნიშნავს რა, რომ ინტერვენციისა და ოკუპაციის შედეგად საქართველოში დამყარებული ხელისუფლება — ჯერ არაარჩევითი ხელისუფლება (რევოლუციური კომიტეტები), ხოლო შემდგომ შესძლუდელი, ვიწრო კლასობრივ საწყისებზე აგებული საბჭოები — არ გამოხატავდა ქართველი ხალხის შეშმარიტ, თავისუფალ ნება-სურვილს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო იცხადებს უკანონოდ და ბათილად ყველა აქტს, რომელიც აუქმებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ და სხვა ინსტიტუტებს და ცვლიდა მათ გარეშე ძალაშე დამყარებული პოლიტიკური და სამართლებრივი დაწესებულებებით (ე. წ. საქართველოს რევოლუციის 1921 წლის 16 და 26 თებერვლის, 24 მარტის გადაწყვეტილებანი და სხვ.)“.

2. დადგენილებას ბოლოში დაემატოს შემდეგი ტექსტი: „დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს სსრ და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკის შორის პრინციპულად ახალი, სუვერენული სახელმწიფოებისათვის შესაფერისი ურთიერთობების დამყარების მიზნით, რასც საფუძლად უნდა დაედოს 1921 წლის ოქტომბერში ჩატარებულ რესპუბლიკისთვის 1920 წლის 7 მაისს დადგებული ხელშეკრულების უხეში დარღვევის ფაქტის აღიარება და მისი პოლიტიკური და სამართლებრივი შედეგების სითანადო შეფასება რსფს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ.

მძიმე წარსულის, გარეშე ძალაშე დაყრდნობით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების უდავო ფაქტის მიუხედავად, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ითვალისწინებს პოლიტიკურ რეალიებს, სახელმწიფო ხელისუფლების ჩასახვისა და განვითარების ისტორიულ გამოცდილებას, საქართველოში თუნდაც ნაკლებად დემოკრატიული, მაგრამ მაინც არჩევითი პოლიტიკური ინსტიტუტების მოქმედებისა და მათი საქავშირო პოლიტიკურ სისტემაში ფუნქციონი-



რების ფაქტს, რაც გადამწყვეტი როლს ასრულებს ნებისმიერი ხელისუფლების არსებობის იურიდიული საფუძვლის შეფასებისას. დღეს მხოლოდ საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს შეუძლია და უფლებამოსილია სამართლებრივი გზით შექმნას ყველა პირობა საქართველოში ჭეშმარიტად დემოკრატიულ, მრავალპარტიულ საწყისებზე აგებული ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების ჩამოყალიბებისათვის, სახოგადოების ყველა ფენისა და პოლიტიკური მრწამსის მქონე ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით, რაც აუცილებელი საწინდარია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებული შემდგომი ნაბიჯების გადადგმისათვის.

საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს კარგად ესმის ის უდიდესი პასუხისმგებლობა ქართველი ხალხის წინაშე, რომელიც ეკისრება მას, მის თოთვეულ წევრს საქართველოსათვის გადამწყვეტი ისტორიულ ეტაპზე, და მოუწოდებს ქართველ ხალხს, საქართველოში მცხოვრებ ყველა იდემიანს. ერთობლივადალისხმევით მიაღწიონ სანუკვარ მიზანს — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას“.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გურგარიბევი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი გ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 20 ივნისი.

№ 217—XI b.

საქართველოს სსრ უზენაესი საგროს დაზღვირება

149 საქართველოს სახელმწიფო გრანტი და მიმდინარეობის გენერალის მიზანი

ხელმძღვანელობს რა ქართველი ხალხის ეროვნული სუვერენიტეტის იმპერატივებით, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებით აღიარებული და გარანტირებული ყოველი ერის თვითგამორკვევის უფლების ხელშეუხებლობით, სხვა ნორმებით, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით. ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტებით, აგრეთვე პელისინისა და ვენის ფორუმების დასკვნითი და შემაჯამებელი აქტებით;

აღნიშნავს რა, რომ ქართველმა ხალხმა განახორციელა ეს უფლება 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნით;

აღიარებს რა საქართველოს უფლებას აღადგინოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელიც დაკარგა 1921 წელს რსფსრ მთავრობის მიერ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის შედეგად, რაც ინტერვენციით, აუქაციითა და ფაქტობრივი ანექსით გამოხატა;

ვინაიდან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტი არ გადადგინდა გენილებამ საწყისი დაუდო საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციის დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესს, რისთვისაც საჭიროა ქმედით სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება, უკვე მიღწეულის დაცვა და დამოუკიდებლობისუკრ შემდგომი ნაბიჯების გადაღვენა, —

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

შემუშავდეს საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციის დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი მექანიზმი საერთაშორისო სამართლის ნორმათა საფუძველზე.

ამ მიზნით შეიქმნას კომისია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების, აგრეთვე სპეციალისტების, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და მოძრაობების წარმომადგენლებისაგან და დაევალოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს განსაზღვროს კომისიის პერსონალური შემადგენლობა.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გვერდანიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი გ. პვერაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 20 ივნისი.

№ 218—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

150 საქართველოს სსრ მოქალაქეობის კანონის პროექტის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. ინფორმაცია საქართველოს სსრ მოქალაქეობის კანონის პროექტის თაობაზე მიღებულ იქნეს ცნობად.

2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის შესაბამისმა სამუშაო გვიფრმა ანიშნული კანონპროექტის ვარიანტის შემუშავების შემდეგ დაუგზავნოს იგი დეპუტატებს, ექსპერტ-სპეციალისტებს, დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს და შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების

გათვალისწინებით წარმოადგინოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განსახილებელად.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდიდარი გ. პვერცხელია.

თბილისი, 1990 წლის 20 ივნისი.

№ 219—X ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საგვოს დადგენილება

151 საქართველოს უზენაესი საგვოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ კანონის მიზანთაღი კონცეფციისა და საქართველოს უზენაესი საგვოს დეპუტატთა არჩევნების დანიშნვის თაობაზე

განიხილა რა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ კანონის ძირითადი კონცეფცია, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ კომსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს სსრ კანონის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადვილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტების შემუშავებელ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის კომისიის პოლიტიკურ პარტიებთან, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და მასობრივ მოძრაობებთან ერთად ერთი თვის ვადაში მოამზადოს განსახილებად და მისაღებად საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ კანონის პროექტი.

2. საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების კანონის პროექტს საფუძვლად დაედოს მრავალპარტიული არჩევნები მაუორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების გათვალისწინებით.

3. დაინიშნოს საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები კვირის, 1990 წლის 28 ოქტომბერს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდიდარი გ. პვერცხელია.

თბილისი, 1990 წლის 20 ივნისი.

№ 220—X ს.



საქართველოს სსრ უზენაესი საგროს დადგენილება

152 მოქალაქეთა საზოგადოებრივი გართიანების, გათ უორის კოლიტიკური პარტიის, მასობრივი მოძრაობების, პროფესიული და უცოდებელითი კავშირების, ნებაყოფლობითი საზოგადოებების, ხალხური და სამოწმონის კანონის, ასოციაციების უზენაესი საბჭო დაგენერირების:

გაგრძელდეს მუშაობა „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, გათ შორის პოლიტიკური პარტიების, მასობრივი მოძრაობების, პროფესიული და შემოქმედებითი კავშირების, ნებაყოფლობითი საზოგადოებების, ასოციაციების შესახებ“ კანონის პროექტზე აღნიშნული კანონისა და „საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ კანონის პროექტების ურთიერთშესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუგარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი გ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 20 ივნისი.

№ 221—XII ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საგროს დადგენილება

153 საქართველოს სსრ მკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების უზენაესი საბჭო დაგენერირების უზენაეს საქართველოს სსრ კანონის პროექტის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო დაგენერის:

მოწონებულ იქნეს პირველი წაკითხვით „საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის პროექტი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუგარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი გ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 20 ივნისი.

№ 222—XII ს.



საქართველოს სსრ უზენაესი საგანოს დაღგენილება

154 გროვითი (პლტერნატიული) სამსახურის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აღგენს:

1. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეიმუშაოს და მიიღოს „შრომითი (ალტერნატიული) სამსახურის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესი.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ:

შეიმუშაოს დებულებები შრომითი (ალტერნატიული) სამსახურის გავლის წესისა და პირობების და შრომითი (ალტერნატიული) სამსახურის კომისიების შესახებ;

განსაზღვროს საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საჭირო სამუშაოების (მშენებლობა, ტრანსპორტი, კომუნალური მეურნეობა, ჯანმრთელობის დაცვა და სხვ), აგრეთვე კატასტროფებისა და სტიქიური თუ ეკოლოგიური უბედურებების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების ნუსხა, სადაც უნდა იმუშაონ მოქალაქეებმა შრომითი (ალტერნატიული) სამსახურის გავლის დროს;

გაითვალისწინოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმაში სათანადო ცვლილებები.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 20 ივნისი.

№ 223—XI ს.

155 საქართველოს სსრ კანონი გროვითი (პლტერნატიული) სამსახურის შესახებ

თ ა ვ ი

ზოგადი დებულებანი

შუბლი 1. შრომითი სამსახური სამხედრო სამსახურის ალტერნატივა. იყი არის საქართველოს სსრ მოქალაქის შრომითი მოვალეობა — იმსახუროს საქართველოს სსრ საჭარბოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

შუბლი 2. შრომითი სამსახური ითვალისწინებს მოქალაქის მიერ საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საჭირო, მძიმე, შრომის მავნე ან საშიშ პირობებიანი, ნაკლებქვალიფიციური, დამხმარე სამუშაოების, აგრეთვე კატასტროფებისა და სხვა სტიქიური უბედურებების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების შესრულებას.

მუხლი 3. შრომით სამსახურში გაიწვევიან საქართველოს სსრ 18-27 წლის ასაკის მოქალაქეები, რომელიც იმყოფებიან სამხედრო აღრიცხვაზე, ექვემდებარებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევას და პოლიტიკური, რელიგიურ-ეთნიკური ან პაფიკისტური მოტივით უარს აცხადებენ შეიაძლებულ ძალებში სამსახურზე.

მუხლი 4. შრომითი სამსახურის ვადაა 24 თვე, ხოლო უმაღლეს დამთავრებულთათვის — 12 თვე.

შრომითი სამსახურის გაცლის შემდეგ შრომავალდებული შეიძლება გაიწვიონ შრომითი მობილიზაციით სამ თვემდე ვადით კატასტროფებისა და სტიქიური თუ ეკოლოგიური უბედურებების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებზე, თუ არ იქნება ამ კანონის მე-8 მუხლის II ნაწილში აღნიშნული საფუძვლები.

მუხლი 5. მოქალაქეენი შრომით სამსახურს გადიან საქართველოს ტერიტორიაზე შრომითი სამსახურის კომისიების მიერ განსაზღვრულ ადგილებში.

მუხლი 6. შრომითი სამსახურის აღრიცხვაზე აყვანისას პირი თვისისუფლება სამხედრო სამსახურისაგან.

თადარიგის სამხედრო ვალდებულს უფლება აქვს ამ კანონის მე-3 მუხლში აღნიშნული მოტივების გამო უარი თქვას სამხედრო სამსახურზე და მოითხოვოს შრომითი სამსახურის აღრიცხვაზე აყვანა.

მუხლი 7. შრომით სამსახურში არ გაიწვევიან:

1) მოქალაქეები, რომელთაც მოიხადეს სავალდებულო სამხედრო სამსახური;

2) პირები, რომლებიც ჯანმრთელობის მდგრმარეობის გამო გამოუსადევარი არიან ნამდვილი სამხედრო სამსახურისათვის;

3) I და II ჯგუფის ინვალიდები;

4) პირები, რომლებიც სასამართლოს მიერ ცნობილი არიან ქმედუუნაროდ;

5) მოქალაქეენი, რომელთაც გადაუვადდათ სამხედრო სამსახურში გაწვევა;

6) უმაღლესი სასწავლებლების დღის სწავლების სტუდენტები;

7) რელიგიური სასწავლებლების მსმენელები;

8) სასულიერო პირი.

მუხლი 8. ორმოცდაათი წლის მიღწევის შემდეგ შრომავალდებული იხსენება შრომითი სამსახურის აღრიცხვილან.

შრომავალდებული ვადაზე ადრე მოიხსენება შრომითი სამსახურის აღრიცხვილან, თუ იგი:

ა) ჯანმრთელობის მდგრმარეობის გაუარესების გამო გამოუსადევებრი გახდა შრომითი სამსახურისათვის;

ბ) გახდა I ან II ჯგუფის ინვალიდი;

გ) სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ.

თ ა ვ ი Ⅱ



შრომით სამსახურში გაწვევა

მუხლი 9. შრომით სამსახურში გაწვევის ორგანიზაციასა და კონტროლს ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომითი სამსახურის მთავარი კომისია.

რაიონის (ჭალაქის) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ექნება შრომითი სამსახურის რაიონული (საქალაქო) კომისიები.

მუხლი 10. მოქალაქეს, რომელიც ამ კანონის მე-3 მუხლში აღნიშნული მოტივიებით უარის აცხადებს შეიარაღებულ ძალებში სამსახურზე, სავალდებულ სამხედრო სამსახურში მორიგ გაწვევამდე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შრომითი სამსახურის რაიონულ (საქალაქო) კომისიაში შეაქვს განცხადება შრომითი სამსახურის გავლის შესახებ.

შრომითი სამსახურის რაიონული (საქალაქო) კომისია მოვალეა 10 დღის ვადაში განიხილოს განცხადება და მიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

დადებითი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან მოქალაქე ჩაითვლება შრომავალდებულად და შესაბამისად გათავისუფლდება სამხედრო კომისარიატში წევდამდელთა აორიცხვიდან.

მუხლი 11. მოქალაქის ოხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში შრომითი სამსახურის რაიონული (საქალაქო) კომისია თვეის გადაწყვეტილების ასლს სამი დღის ვადაში უგზავნის დაინტერესებულ მოქალაქეს და შესაბამის სამხედრო კომისარიატს.

მუხლი 12. შრომითი სამსახურის რაიონული (საქალაქო) და მთავარი კომისიის ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დებულება შრომითი (ალტერნატიული) სამსახურის კომისიების შესახებ.

თ ა ვ ი Ⅲ

დავის გადაწყვეტის წესი

მუხლი 13. შრომითი სამსახურის რაიონული (საქალაქო) კომისიის გადაწყვეტილება შრომით სამსახურში გაწვევაზე უარის თქმის შეისხებ შეძლება ვასაჩივრდეს შრომითი სამსახურის მთავარ კომისიაში გაწვევაზე უარის თქმიდან 10 დღის ვადაში. შრომითი სამსახურის მთავარი კომისია საჩივარს განიხილავს განცხადების შემოსვლიდან 14 დღის ვადაში.

თუ მოქალაქე არ ესაქმება შრომითი სამსახურის მთავარი კომისიის გადაწყვეტილებას, მას შეუძლია საჩივრით მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს იმ წესითა და იმ ვადებში, რაც დაფენილია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საბროცესო კოდექსით.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება



გასაჩივრდეს სამოქალაქო სამართალწარმოებით დადგენილი წესითა და ვა-
დებში.

მუხლი 14. დავის საბოლოო გადაწყვეტიამდე მოქალაქე სავალდებულო
სამხედრო სამსახურში გაწვევას არ ექვემდებარება.

მუხლი 15. მოქალაქის თხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში
იმავე მოტივით განცხადების შეტანა არ დაიშვება.

თ ა ვ ი IV

შრომითი სამსახურის გავლა

მუხლი 16. შრომით სამსახურში გაწვევის საფუძველია შრომითი სამსა-
ხურის კომისიის ან სასამართლოს გადაწყვეტილება.

მუხლი 17. შრომავალდებული შრომითი სამსახურის კომისიის მიმართვით
იგზავნება ამ კომისიის მიერ მითითებულ სამუშაო ადგილზე.

შრომავალდებული მოვალეა გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე კომისიის
მიერ განსაზღვრულ გადაში.

მუხლი 18. საჭარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის აღმინისტრაცია
შრომითი სამსახურის კომისიის მიმართვის საფუძველზე მოვალეა დადოს შრო-
მავალდებულთან შრომის ხელშეკრულება იმ წესით, რაც გათვალისწინებულია
შრომის კანონმდებლობით.

შრომითი სამსახურის ვადა გამოითვლება სამუშაოზე მოქალაქის მიღე-
ბის დღიდან, რის შესახებაც აღმინისტრაცია აცნობებს შრომითი სამსახურის
შესაბამის კომისიას.

შრომითი სამსახური მოქალაქეს ეთვლება შრომის საერთო სტაჟში.

მუხლი 19. შრომითი სამსახურის გავლის წესსა და პირობებს განსაზღვ-
რავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულება
შრომითი სამსახურის შესახებ.

თ ა ვ ი V

შრომითი სამსახურის შეწყვეტის საფუძვლები

მუხლი 20. შრომითი სამსახურის შეწყვეტის საფუძველია:

1) შრომითი სამსახურიდან მოქალაქის ვადაზე აღრე გათავისუფლება;

2) შრომითი სამსახურის დადგენილ ვადაში დამთავრება.

მუხლი 21. შრომითი სამსახურიდან ვადაზე აღრე გათავისუფლების სა-
კითხს წყვეტს შრომითი სამსახურის მთავარი კომისიი შესაბამისი რაიონული
(საქალაქო) შრომითი სამსახურის კომისიის წარდგინებით შემდეგ შემთხვე-
ვებში:

- 1) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ვამო, რაც შეუძლებელს ხდის შრომითი სამსახურის შემდგომ გაგრძელებას;
- 2) თუ პირი გახდა I ან II ჯგუფის ინგილიდი;
- 3) თუ პირი გახდა ოჯახის ერთადერთი მარჩენალი;
- 4) მეორე შეიღის შეძენისას;

5) სასჯელის სახით თავისუფლების ალკვეთისას სამ წელზე მეტი ვადით, აგრეთვე სასჯელის სახით თავისუფლების ალკვეთისას სამ წლამდე ვადით, თუ პირს |სასჯელის მოხდის პერიოდში შეუსრულდა 27 წელი;

6) თუ პირი გამოთქვამს სურვილს იმსახუროს შეიარაღებულ ძალებში.

შრომითი სამსახურიდან ვადაზე აღრე გათავისუფლების შესახებ ეცნობება შესაბამის სამხედრო კომისარიატს.

მუხლი 22. შრომითი სამსახურის ვადის შეჩერების პირობებსა და საფუძვლებს განსაზღვრავს დებულება შრომითი სამსახურის შესახებ.

მუხლი 23. შრომითი სამსახურის შესაბამისი რაიონული (საქალაქო) კომისია არა უგვიანეს ერთი თვეისა მოქალაქეს შრომითი (ალტერნატიული) სამსახურის დამთავრებამდე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის აღმინისტრაციის უგზავნის შეტყობინებას მოქალაქის შრომითი სამსახურის დამთავრების ვადის შესახებ.

მუხლი 24. იმ შემთხვევაში, თუ შრომითი სამსახურის ვაკლის შემდგომ მოქალაქე გამოთქვამს სურვილს იმუშაოს იმავე საწარმოში, დაწესებულებასა თუ ორგანიზაციაში, ივი აღმინისტრაციასთან დებს ახალ შრომის ხელშეკრულებას შრომის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 25. შრომიგალდებულ პირს შრომითი სამსახურის ვაკლის შემდეგ უფლება აქვს მიიღოს იგივე სამუშაო, რომელზეც იგი გაწვევამდე მუშაობდა.

თ ა ვ ი VI

დასკვნითი დებულებები

მუხლი 26. შრომით (ალტერნატიულ) სამსახურთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 27. ომის მდგომარეობის ან საომარი მოქმედების შემთხვევაში ეს კანონი რჩება ძალაში, თუ არ იქნა მიღებული სხვა საკანონმდებლო აქტი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. პუხაბარიშვი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდგრანი პ. პაპალევია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

156 საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77-ე მუხლის საფუძვლზე
სსრ პავზირის რიგი კანონების შეცვალის უსახელი

ხელმძღვანელობს რა საქართველოს სსრ სუვერენიტეტის დაცვის ოუცი-
ლებლობით და საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგე-
ნის ამოცანებით, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77-ე მუხლის შესაბამისად
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. მიჩნეულ იქნეს, რომ სსრ კავშირიდან მოყავშირე რესპუბლიკის გასვ-
ლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის, კავშირისა და ფედერა-
ციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის, ეკონომიკური ურ-
თიერთობის საფუძვლების, საკუთრების, საგანგებო წესების სამართლებრივი
რეჟიმის შესახებ, აგრეთვე საშემოსავლო გადასახადებთან დაკავშირებული სსრ
კავშირის კანონები არ შეესაბამება საქართველოს სსრ ინტერესებს.

2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს
სსრ მინისტრთა საბჭომ თავის საქმიანობაში იხელმძღვანელონ ამ დადგენი-
ლებით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. პავალიშვილია.

თბილისი, 1990 წლის 20 ივნისი.

№ 225—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

157 საქართველოს სახელმწიფო განაკვიდებლობის აღდ-
გენის სამართლებრივი გენერალის უზენაესი კომისიის
უვალებელი უსახელი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო
ადგენს:

შეიქმნას საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდ-
გენის სამართლებრივი მექანიზმის შემმუშავებელი კომისია შემდეგი შემად-
გენლობით:

კომისიის თავმჯდომარე

გიგი გრიგოლის ძე გუმბარიძე — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კო-
მიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

კომისიის წევრები:

ზაურ ხავის ძე ავიძა — აფხაზეთის ასსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამ-
გონბის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.



ზურაბ ივანეს ძე ანგაფარიძე — საქართველოს შ. რუსთაველის სახელმწიფო ბის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

ვალერიან როსტომის ძე ასათიანი — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

არჩილ გრიგოლის ძე გოგელია — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რაიონმაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

ლონგინოზ ლევანის ძე ჭაქაძე — საქართველოს სსრ პურპროდუქტების მინისტრი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

ალექსანდრე ნიკიფორეს ძე თავხელიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

ალექსანდრე ირაკლის ძე კავსაძე — გორის გაერთიანებული საქალაქო და რაიონული საბჭოების პრეზიდიტის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

კონსტანტინე ვახტანგის ძე კაპანაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განყოფილების გამგის მოადგილე, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

გრიგოლ დავითის ძე ლორთქიფანიძე — საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

ვაჟა გორგის ძე ლორთქიფანიძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

ნოდარ რევაზის ძე ნათაძე — საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

ლეილა რუბენის ასული ონაშვილი — გურგანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნე, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე პატრიშვილი — სსრ სახანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის მმართველი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

ირაკლი სერგოს ძე უორდანია — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

ბაგრატ ბესარიონის ძე ტეხნიკი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

ლანა ლევანის ასული ღოლობერიძე — საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

ვიქტორ აბიბის ქ შარაშენიძე — საქართველოს მსრ იუსტიციის მინისტრი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

ნიკოლოზ გორგის ქ ჩერქეზიშვილი — საქართველოს უურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

გიორგი შალვას ქ ციციშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

ნიკო ზურაბის ქ ჭავჭავაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

მიხეილ მიხეილის ქ ხანანაშვილი — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

დავით ახმედის ქ ხახუტაშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელმისამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

რუსულან ალექსანდრეს ასული ჭავჭარიძე — საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გუგარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 20 ივნისი.

№ 226—XI ს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

158 რესაუგლიკის ტერიტორიაზე „დეპრეტული“ დროის გაუქმების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება რესპუბლიკის ტერიტორიაზე „დეპრეტული“ დროის გაუქმების თაობაზე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გუგარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 20 ივნისი.

№ 227—XI ს.

გაცემის გენერალური მინისტრი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

159 3. ს. ადგადისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებისა და მოღვაწის“ საპატიო ფოდების მინისტრის უზენაესი

ქართული ეკონომიკური აზროვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისა და ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს ვალერიან სერგოს ქ. ადვაძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუბგარიბიშვილი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი გ. პვერაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 6 ივნისი.

№ 2667—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

160 6. ს. ხურციძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებისა და მოღვაწის“ საპატიო ფოდების მინისტრის უზენაესი

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისა და მეცნიერთა კადრების მომზადებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს ვალერიან სერგოს ქ. ადვაძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუბგარიბიშვილი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი გ. პვერაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 6 ივნისი.

№ 2668—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საგვარეულოს პრეზიდიუმის ბრძანების შესახებ
161 საქართველოს ხალხური ციმლერისა და ცეკვის სახელმწიფო
 აკადემიური ანსამბლის საქართველოს სსრ უზენაესი საგვარეულოს
 პრეზიდიუმის საპატიო ციხელით დაჯილდოვგზის უსახებ

ქართული ხალხური შემოქმედების განვითარება-პოპულარიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უზენაესი საგვარეულოს პრეზიდიუმის საპატიო ციგელით.

საქართველოს სსრ უზენაესი საგვარეულოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ვლაბარიძე.
 საქართველოს სსრ უზენაესი საგვარეულოს პრეზიდიუმის მდივანი გ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 18 ოქტომბერი.

№ 2678—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საგვარეულოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

162 საქართველოს ხალხური ციმლერისა და ცეკვის სახელმწიფო
 აკადემიური ანსამბლის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების უსახებ

ქართული ხალხური შემოქმედების განვითარება-პოპულარიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“

ლიანი ევგენის ასულ ქავთარაძეს — მოცეკვავეს.

ჭემალ შერმადინის ქ. ჭიუასელს — სამხატვრო ხელმძღვანელსა და მთავარ დირექტორს.

რევაზ შოთას ქ. ჭოხონელიძეს — მთავარ ქორეოგრაფს.

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“

შოთა გრიგოლის ქ. ბრეგაძეს — ლოტბარს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“

ლალი იონას ასულ გამეზარდაშვილს — მოცეკვავეს.

ელიზა გიორგის ასულ ქახნაშვილს — მოცეკვავეს.

გაბტანგ ნოდარის ქ. შეფარიშვილს — მოცეკვავეს.

ტარიელ გიორგის ქ. მილაძეს — მოცეკვავეს.

ელიზბარ გიორგის ქ. რევაზიშვილს — მომღერალს.

მერაბ ოთარის ქ ურიდიას — მომღერალს.
 გვივი ივანეს ქ შავგულიძეს — მომღერალს.
 ნიკოლოზ კონსტანტინეს ქ ჩიქოვანს — მომღერალს.
 ლიანა გომილის ასულ ციხისელს — მოცეკვავეს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუგუაშვილი. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი გ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 18 ივნისი.

№ 2679—XI

გაყოფილება მესამე

საქართველოს სსრ მეთართობის მოწვევის უზენაესი საგანოს რიგგარეშვი მეთხოთხოვთვი სასია

20 ივნისს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს რიგგარეშვი მეთხოთხოვთვი სესია.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, დეპუტატმა გ. გ. გუგუაშვილიდემ.

დეპუტატებმა დამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი.

დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებაში დამატებების შეტანის თაობაზე.

2. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ღლდენის სამართლებრივი მექანიზმის შექმნის შესახებ.

3. საქართველოს მოქალაქეების კანონის პროექტის შესახებ.

4. საქართველოს უზენაესი საბჭოს საყოფალოთა დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნების კანონის პროექტის შესახებ.

5. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, მთა შორის პოლიტიკური პარტიების, მასობრივი მოძრაობების, პროფესიული და შემოქმედებითი კავშირების, ნებაყოფლობითი საზოგადოებებისა და ასოციაციების კანონის პროექტის შესახებ.

6. საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების კანონის პროექტის შესახებ.

7. ილტერნატიული სამსახურის სამართლებრივი რეგლამენტაციისა და მასთან დაკავშირებული საკონსენტოს შესახებ.

8. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77-ე მუხლის საფუძველზე სსრ კავშირის რიგი კანონების შეფასების შესახებ.

დღის წესრიგის გამო სესიაზე მოხსენება გააკეთა გ. გ. გუგუაშვილიდემ.



სესიამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, მოადგილის, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის, დეპუტატ ო. გ. ვარძელაშვილის ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების კანონის პროექტის თაობაზე.

ინფორმაცია აღტერნატურული სამსახურის სამართლებრივ რეგლამენტა-ცაზე და მისთან დაკავშირებულ სეკითხებზე გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ო. გ. ქვილითამაბ.

დღის წესრიგის გამო კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ვ. რ. ასათანი, დ. ნ. დვალიშვილი, გ. ა. ჩარკვანი, ა. ი. კაგასაძე, ვ. ა. შარაშენიძე, ნ. რ. ნათაძე, ვ. ა. პატეიშვილი, გ. შ. ციციშვილი, ლ. ლ. ლოლობერიძე, რ. შ. ჭეიშვილი, ბ. ზ. მაყაშვილი, თ. ი. ხაზარაძე, ო. დ. ქინქლაძე, რ. ა. გაფარიძე, კ. კ. გარდაფხაძე, ვ. პ. ესვანგია, გ. ი. გუნავა.

სესიამ მიიღო დადგენილება „საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებაში დამატებათა შეტანის თაობაზე.

საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო მიმართვა რესეთის სფსრ უზენაესი საბჭოსადმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგების შეფასების გამო.

შემდეგ სესიამ მიიღო დადგენილებანი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი მექანიზმის შექმნის შესახებ. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შეიქმნას კომისია, რომელშიც შევლენ დეპუტატები და სპეციალისტები, აგრეთვე პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებებისა და მოძრაობის წარმომადგენლები.

გადაწყდა, ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით დაიხვდის და მომდევნო სესიის განსახილველად იქნეს გამოტანილი საქართველოს მოქალაქეობის კანონის პროექტი, აგრეთვე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საყოველთაო დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნების კანონპროექტი; არჩევნები 1990 წლის 28 ოქტომბერს არის დანიშნული. სესიამ მიზანშეწონილად მიიჩნია გაგრძელდეს მუშაობა მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის, პოლიტიკური პარტიებისა და მასობრივი მოძრაობების კანონის პროექტზე და უზრუნველყოფილ იქნეს მისი შესატყვევება საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების კანონის პროექტთან.

დეპუტატებმა დაამტკიცეს შესაბამისი დადგენილებანი: საქართველოს მოქალაქეობის კანონის პროექტის, საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის შირითადი კონცეფციისა და არჩევნების დანიშვნის, მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პოლიტიკური პარტიების, მასობრივი მოძრაობების, პოლიტიკური კონფერენციების, ნება-უოფლობითი საზოგადოებების და სოციალური კანონის პროექტის თაობაზე.

სესიამ პირველი წარითხებით მიიღო საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების კანონი და შესაბამისი დადგენილება.

მიიღეს შრომითი (ალტერნატიული) სამსახურის კანონი და შესაბამისი დადგენილება, აგრეთვე დადგენილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77-ე მუხლის საფუძველზე სსრ კავშირის რიგი კანონების შეფასების შესახებ.

დღის წესრიგის საკითხთა განხილვის დროს ზოგიერთ მათგანზე შენიშვნები და წინადადებანი გამოთქვეს დეპუტატებმა პ. პ. ჩხეიძემ, ე. ა. ბერიძემ, ზ. ა. კვაჭაძემ, ნ. რ. ნათაძემ და რ. შ. ჭეიშვილმა.

დეპუტატთა წინადადებით მიიღეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს განცხადება, რომელშიც ცნობენ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის თვითგამორკვევის უფლებას და პოლიტიკურ ნებას უექმნან ნამდვილად სუვერენული სახელმწიფოები, გამოთქმულია მზადყოფნა, დაამყარონ პირდაპირი სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ურთიერთობა.

დეპუტატთა მოიწონეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება რესპუბლიკის ტერიტორიაზე „დეპრეტული“ დროის გაუქმების შესახებ. ამ საკითხის გამო განმარტება მისცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა ბ. დ. მახარაშვილმა.

ამით სესიამ მუშაობა დაამთავრა.
